ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე: თორნიკე ბაქრაძე

კომისიის წევრი: მარიკა არევაძე

კომისიის წევრი: ცისმარი ონიანი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 11.09.18

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 011/18

შეკითხვა:

გთხოვთ, მაცნობოთ, როგორია ეთიკის კომისიაში განცხადების შეტანის უფლებამოსილების მქონე პირთა წრის ზუსტი განსაზღვრება. შეიძლება თუ არა ადვოკატის წინააღმდეგ ეთიკის კომისიაში საჩივარი შემოიტანოს ადვოკატის კლიენტის მშობელმა, ნათესავმა, მეგობარმა ან სხვა პირმა? თუ შესაძლებელია - რა შემთხვევაში? აუცილებელია თუ არა ასეთ დროს ადვოკატის კლიენტის თანხმობა საჩივარზე?

ანალიზი:

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლი: დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია:

ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა.

ბ) ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე.

გ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე.

დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის წევრის, სარევიზიო კომისიის მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე

დისციპლინური წარმოების დებულების მე-6 მუხლში ჩამოთვლილია იმ პირთა ზუსტი წრე, რომელთა მიერ ეთიკის კომისიისადმი მომართვის საფუძველზე რეგისტრირდება საჩივარი ადვოკატის მიმართ და იწყება დისციპლინური საქმისწარმოება. იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის წარდგენა ეხება ადვოკატის ქმედებით კონკრეტული პირის უფლებებისა და ინტერესების დარღვევას, საჩივარი წარდგენილ უნდა იქნას იმ პირის მიერ, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით მისი უფლებები და ინტერესები შეილახა.

დასკვნა:

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლში პირდაპირაა მითითებული იმ პირთა წრე, რომელთა ეთიკის კომისიისადმი მომართვის საფუძველზე იწყება დისციპლინური საქმის განხილვა, მათ შორის, როდესაც საჩივარი ეხება კლიენტის პრეტენზიას ადვოკატის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე, მას აქვს უფლებამოსილება წარადგინოს საჩივარი ეთიკის კომისიაში, რის საფუძველზეც (მე-6 მუხლის „ა“ პუქნტიდან გამომდინარე) იწყება დისციპლინური წარმოება.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი (იხ. ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, მუხლი 46).

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქარაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/